



# შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№7 (10.112)

16-23 მარტი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი  
ყოველკვირეული გამოცემა

## ერთი დღე სოფელ ოზანში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის მიერ ინიცირებული პროექტი „ერთი დღე სოფელში“ აქტიურ რეჟიმში გრძელდება. პროექტის ფარგლებში ნიკოლოზ ჯანიაშვილი საკრებულოს წევრებთან ერთად 11 მარტს სოფელ ოზანს ეწვია. მერმა საჯარო სკოლის პედაგოგებთან ერთად დაათვალიერა მშენებარე სკოლა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.



ნიკოლოზ ჯანიაშვილი ოზანის საბავშვო ბაღსაც ესტუმრა და არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნო. მერის განცხადებით, მომავალ თაობაზე ზრუნვა ხელისუფლების უმთავრესი პრიორიტეტია და მათი ღირსეული პირობების შექმნისთვის მაქსიმუმი კეთდება.

**ლია სუსიტაშვილი (ოზანის საბავშვო ბაღის გამგე):** „ჩვენს საბავშვო ბაღში ყველა პირობაა შექმნილი ბავშვთა აღზრდა-განვითარებისთვის. მიუხედავად კონტიგენტის სიმცირისა, მერია აქტიურად ზრუნავს პირობების გაუმჯობესებაზე. ჩემი კოლექტივის სახელით მაღლიერი ვარ მუდმივი თანადგომისთვის. აღინიშნა, რომ **მერიის მხარდაჭერითა და ოზანელთა გადაწყვეტილებით, სოფლის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ბაღის ეზოში საბავშვო ატრასციონების განკეთების პროექტი**. ეს კი უსაფრთხოების ნორმების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი იქნება. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მოსახლეობას, ამ საკითხის დასახელებისა და მხარდაჭერისთვის.

საბოლოო ჯამში, ძალიან თბილი და სასიამოვნო

ბაღში არ დადინა. აღმზრდელებთან ისაუბრა ბავშვთა დღის რეჟიმზე, კვების რაციონზე. იკითხა, როგორია მშობლების აზრი კვებასთან დაკავშირებით. დაინტერესდა სათამაშოების მდგომარეობითა და რაოდენობით. ყურადღება გაამახვილა როგორც სამაგიდო, ისე თავისუფალ თამაშებზე“.

**ანა ლათიგაშვილი (ოზანის სკოლის დირექტორი):** „ნაყოფიერი შეხვედრა იყო, დავათვალიერეთ მშენებარე სკოლა და თითოეულ დეტალზე ვისაუბრეთ. მაისის ბოლოს სკოლა უნდა ჩაგვზარდეს და ახალ სასწავლო წელს ახალ შენობაში დავიწყებთ. ამიტომ, ძალიან მოტივირებულები ვართ ჩვენც და მოსწავლეებიც. ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია, წვრილმანებია დარჩენილი, გარე

**ოჯანებს დააბრუნებს.** ამჟამად პირველ კლასში ცხრა მოსწავლე გვყავს, თუმცა მომავალი სასწავლო წლისთვის, თუ ახალი სკოლა გვექნება, სამ ბავშვს ველოდებით, თუ ვერ მოესწრება, მაშინ პირველ კლასში მხოლოდ ერთი მოსწავლე გვეყოლება, დანარჩენები კი წნორის სკოლაში მივლენ. **ახალი შენობა 120 მოსწავლესა და 120 მოსწავლეს გათვლილი, ამჟამად კი ჩვენი 95 მოსწავლე ირიცხება.** საბედნიეროდ, სრული კლასები გვაქვს და კლასკომპლექტები არ გაგვიკეთებია. მხოლოდ სპორტში, მუსიკასა და ხელოვნების გაკვეთილზე ვახდენთ მაღალი კლასების შეერთებას, რადგან ცოტა მოსწავლეები არიან. მერთან და ადგილობრივებთან სწორედ იმაზე ვიმსჯელებთ, როგორ დავაბრუნოთ და აღვიღოთ რა მიმოქცევით დავამკვიდროთ ახალი თაობა სოფლად. ბატონ ნიკოლოზს სურდა ადგილობრივ ახალგაზრდებთან შეხვედრა და მათი აზრის მოსმენაც, მაგრამ რადგან არაა დეგები დაემთხვა, ამჯერად ეს ვერ მოხერხდა, თუმცა ითქვა, რომ მათთან ცალკე შეხვედრა დაიგეგმება და მოზარდებისგან მოისმენს, რა ანუხებთ მათ. ოზანის სკოლა შეშის ღუმელეებით თბება, საამისოდ ზამთრის სეზონისთვის სპეციალური ბრიკეტები შევიძინეთ კიდეც და სამინისტრომ საჩუქრადაც გადმოგვცა. თუმცა, ახალ შენობაში თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით დამონტაჟდა, რომელიც უფრო კომფორტულია. კმაყოფილი ვართ ამ შეხვედრით, ვინც ჩვენს მერს იცნობს, იცის მისი დამოკიდებულება და მეგობრული მიდგომა, ამიტომ ყოველთვის ვგრძობთ მისგან ყურადღებას და მხარდაჭერას. სოფელშიც არ არის ხელისუფლების მიმართ ცუდი განწყობა, მაგრამ მიგრაციის პრობლემა მწვავედ დგას და ამაზე ფიქრია საჭირო“.



მოვნო შეხვედრა იყო. მერს უშუალო საუბარი ჰქონდა ბავშვებთანაც. ჩვენთან არსებულ მდგომარეობას პირადად გაეცნო და აღნიშნა, რომ მომავალ თაობაზე ზრუნვა ხელისუფლების პრიორიტეტია და მათთვის ღირსეული პირობების შესაქმნელად მომავალშიც მაქსიმუმი გაკეთდება. დაინტერესდა ბავშვთა საერთო რაოდენობით და ასევე იმით, არიან თუ არა ოზანში ისეთი ბავშვები, რომლებიც საბავშვო

ფასადი, შიდა კიბის კეთილმოწყობა და მინი სტადიონი გასაკეთებელი. ავეჯი და საჭირო ინვენტარი უკვე მივიღეთ, თუმცა ჯერ არ დაგვილაგებია. ვისაუბრეთ იმაზე, რომ სოფელში ბავშვთა რაოდენობა ძალიან მცირეა და იქნებ როგორმე მოგვარდეს ეს პრობლემა. **იმავე დღე მამოთქვა, რომ ახალი სკოლა და თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა სოფელში ახალგაზრდა**

**ოზანში მერის რწმუნებული ვანო ბენაშვილი** გაზეთ „შირაკს“ ეუბნება, რომ მიმდინარე წელს სოფლის პროგრამის ფარგლებში, საბავშვო ბაღის ატრასციონებთან კაუჩუკის საფარის მოწყობის გარდა იგეგმება ასევე სოფლის ცენტრში არსებულ საბავშვო სკვერში რბილი საფარის მოწყობაც. ცენტრალურ ქუჩაზე კი არსებული ძველი განათების სისტემა თანამედროვე ლედ სანათებით შეიცვლება.

ილია მარტყოფლიშვილი



# ერთობლივი ღონისძიება ზემო ქედში

7 მარტს, სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლში ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ზონალური კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქედების ზონის თვითმომქმედი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები, ასევე სამთანყაროს ანსამბლი, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერისა და ქართული გალობის სკოლის ფოლკლორული ანსამბლი (ხელმძღვანელი ანა ლოლაშვილი), სოფელ სამთანყაროს ხალხურ საკრავთა და ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი (ხელმძღვანელი ნოდარ შაინიძე), სოფელ ქვემო ქედის გოგონათა ანსამბლი (ხელმძღვანელი თამუნა კობაიძე), სოფელ არხილოსკალოს ბავშვთა ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ირმა პაპიაშვილი) და სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლი (ხელმძღვანელი მაცვალა ნიკლაური).



დებული იყვნენ საღამოს ნამყვანები და ასევე შესრულებული თანამედროვე ცეკვები. ფინალურ ნომრად გავიტანეთ ჩვენი ე.წ. „კოზირი“ კულტურის ღვანდომოსილი მუშაკის იზო ნამგალაური-სა და გივი ლაზვიაშვილის მიერ მომზადებული სკეტჩი-შაირებით. საკმაოდ საინტერესო ნომერი გამოვიდა, რომელიც ჩვენი ძალისხმევით მომზადდა და ქედებისთვის დამახასიათებელი კუთხური ფოლკლორით გამოირჩეოდა. ამ ნომერმა დიდი ოვაციები გამოიწვია. ძალიან მოვიხილოთ, ტექსტიც ჩვენ შევადგინეთ. ერთი თვის განმავლობაში გვიანობამდე რეპეტიციები გვქონდა და ერთუზიანობით ვემზადებოდით. საბოლოო ჯამში კმაყოფილი ვარ, გადავსებული დარბაზი გვისმენდა, ხმაური არ იყო. ჩემთვის ყველაზე მიულოდნელი იყო დეოფოლისწყაროელი მწერლის ეკატერინე ფავლენიშვილის სტუმრობა და სიტყვით გამოსვლა ღონისძიებაზე. მასთან ბევრი წელი მაკავშირებს, მაგრამ ვერ წარმომედგინა, რომ ის მისი გრაფიკიდან გამომდინარე, დასწრებას მოახერხებდა, ამიტომ არც მომიწვევია ღონისძიებაზე. მან კი ჩათვალა, რომ საუკეთესო შე-

საძლებლობა იყო, სოფელში გვსტუმრებოდა და საღამო გაელამაზებინა“.

**იზო ნამგალაური:** „ჯერ კიდევ ძველ კულტურის სახლში დავინყე და თითქმის 40 წელი კულტურის სფეროში ვიმუშავე. დიდი ხანია პენსიაზე ვივდი და სახლში ვარ, ამიტომ მიხარია, რომ ისევ ვახსენდები და მეპატიჟებიან ხოლმე. ადრეც ვმონაწილეობდი სახალხო თეატრში და ზოგადად ძალიან მიყვარს ეს საქმე. 77 წლის ვარ, უკვე დავებრდი, ალარ შემიძლია, მაგრამ ახალგაზრდობა გავიხსენე, ხალხსაც ვასიამოვნებ და მეც დიდი სიამოვნება მივიღე. ემოციური საღამო იყო და ჩემთვის ბევრს ნიშნავს. მე და გივი მრავალი წელი სცენაზე ერთად ვიდებით, ამიტომ მასთან მუშაობა უცხო არ იყო. ახლაც რომ დამიძახეს, ჩემი იდეა იყო დადგმა გაგვეკეთებინა. სიმღერა ძელი იყო, მაგრამ სკეტჩი და დაიალოგი პირველად დაიდგა, სულ ახალი ნამუშევარი გავიტანეთ. ძალიან მინდოდა კუთხური ტრადიციების ყოფილიყო, ხალხს მოსწონებოდა და ვფიქრობ, გამოგვივიდა. სცენაზე ძალიან ვღელავდი, დიდი ხანია ალარ გამოვსულვარ ხალხის

წინაშე და ადვილი არ არის მაცურებელთან ურთიერთობა“.

**ანა ლოლაშვილი:** „ყოველთვის სიხარულით ვერთვებით სოფლად გამართულ ღონისძიებებში, რადგან გამოცდილებასთან ერთად, იმდენ დადებით ემოციას ვიღებთ, რომ მთელი ცხოვრება მიგვყვება საგზლად. ამჯერად, ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის გუნდმა ქალბატონებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე შევასრულეთ თუშური „ხანში შესულ მოცხვარე“ და საფერხული ქართული სიმღერა - „წუთისოფლის სტუმრები ვართ“. შეიძლება ვინმე ფიქრობდეს - სოფლის კლუბში ჩატარებული ღონისძიება რა აღსანიშნავია? მაგრამ სწორედ აქ არის ჯერ კიდევ ის სინამდვილე, გულწრფელობა და სიყვარული შემორჩენილი, რასაც ჩვენ ყოველთვის ნაბიჯზე დავეძებთ. ხშირად უნდა ნახოთ ქედების ზონაში როგორ უყვართ, როგორ იზიარებენ სიხარულს, როგორ იციან გვერდში დგომა, როგორ ჟრიაბდებიან, როგორ იბრძვიან და რაც მთავარია რა საოცრად მღერაინან“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ა.ა.ი.პ. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლები, ადგილობრივი მოსახლეობა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცეს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილმა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა დოდო ხუნაშვილმა, მერის წარმომადგენელმა ზემო ქედში ბეჟან სუხაშვილმა, მწერალმა ეკა ფავლენიშვილმა. მათ ქალბატონებს მიულოცეს მარტის დღესასწაულები და მადლობა გადაუხადეს ორგანიზატორებს სასიამოვნო ღონისძიების მომზადებისთვის.

ილია მარტყოფილი

## ვინც ურჩინდებს ქალს... | ქვემო ქედის განვითარების მიზნები




„ქვეყნად რაც ია, ენძელა, მთებს შუქად გადაეფინა, სულ თქვენთვის მომაძებნინა, სულ თქვენთვის მომაკრფინა“.

თაკარა მზით განათებულ სოფელ მირზანის ადმინისტრაციული შენობის ეზოში ისმოდა პატარების ხმა დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელიც მირზანის ბიბლიოთეკარის, **პირნა ნიკლაურის** ორგანიზებით ჩატარდა. ბავშვებს პირდაპირ მინდვრიდან მოჰქონდათ თავიანთი ხელით მოკრეფილი იები და ფურისულეები. პატარები ყვავილებს დედებს, მასწავლებლებსა და ბებიებს ურიგებდნენ. ისინიც ლოცავდნენ და ეფერებოდნენ მათ. ბავშვებისგან ხომ გამუდმებით სიხარულს მოველით. ისინიც არ იშურებდნენ ენერჯიას, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსებსა და სიმღერებში. მუსიკა არც მოცეკვავებებს დაუგდათ. ოსტატურად ცეკვავდნენ აჭარულს,

სამაიას, კინტაურს. შემდეგ კი მონაწილეებმა და მაცურებლებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილი დედებისა და მასწავლებლების ხსოვნას. საზოგადოებას სიტყვით მიმართა მირზანში მერის რწმუნებულმა აკაკი ლობჯანიძემ, რომელმაც ქალბატონებს დღესასწაულები მიულოცა.

კულტურული ნომრების შემდეგ იქვე საზეიმოდ გაიხსნა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა, თემაზე „გაზაფხული მოსულა“. ნამუშევრებს ბიბლიოთეკის ოთახი დაეთმო. ასევე გამოფენილი იყო ნიჭიერების დიდი მუხობის, მირზანელი **დალი ფიროსმანაშვილის** ნაქარგები და აპლიკაციები. ასევე ადგილობრივი თვითნასწავლი მხატვრის **ბელა ლოჯანიძის** ნახატები. მონაწილეებს საჩუქრად დაურიგდათ დალი ფიროსმანაშვილის ნამუშევრების ბეჭდური კატალოგი.



**პროექტის - „მდგრადი განვითარების 17 მიზანი“ - ფარგლებში, ქვემო ქედის საჯარო სკოლაში სტუმრად ოჯახის ექიმი - ლეილა სეთური იმყოფებოდა.**

მონვეულ სტუმარსა და მოსწავლეებს შორის დისკუსია გაიმართა მდგრადი განვითარების მესამე მიზანთან („ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“) მიმართებაში ისეთი აქტიური საკითხების ირგვლივ, როგორცაა: ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, პრევენციული მედიცინა, ნარკოდამოკიდებულება, თამბაქოს და ალკოჰოლის ზემოქმედება და ა.შ.. პროექტის ხელმძღვანელები: თამარ ლოსეურაშვილი და მაია ნიკლაური

**თამარ ლოსეურაშვილი:** „ყველა თანხმდება, რომ მოსწავლისთვის, ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს კარიერულ წინსვლასა და ინტერესების უკეთ წარმოჩენაში.“

სწორედ, არაფორმალური განათლების მიმართულებით, საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად დავგეგმეთ პროექტი - „მდგრადი განვითარების 17 მიზანი“. ეს მიზნები ჩვენ წინაშე არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს ეხება: სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხე-



ბს, ასევე კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს. დაისვა კითხვები ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ისევე აქტიულორია თემა „ნარკოდამოკიდებულება“. რა გავლენა აქვს ნარკოტიკებს ადამიანის ჯანმრთელობაზე? ლეილა ექიმმა შეხვედრა პრეტესტით დაიწყო, რათა დაეგინა მოსწავლეების ცოდნის დონე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ. ტესტირების შედეგებიც კარგი აღმოჩნდა. შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. მოსწავლეები ყურადღებით უსმენდნენ სტუმარს და აქტიურად ერთვებოდნენ დისკუსიაში. დასასრულს მოვისმინეთ ექიმის რჩევები და მოსწავლეებს დაფურთხებული საინფორმაციო ბუკლეტები. აღნიშნული პროექტის ფაქტობრივად ვგეგმავთ კვლავ მოვიწვიოთ საინტერესო სტუმრები სხვადასხვა მიზანთან დაკავშირებით და განვახორციელოთ ბევრი მნიშვნელოვანი აქტივობა“.

# „ქარბვა ჩემთვის ნამალია, საუკეთესო რელაქსი“...

ბრენდი „ხევსურული ნაქარგობა ალექსანა“ ქართული ტრადიციული რენვის ნიმუშებს აწარმოებს. მისი დამფუძნებელი 24 წლის ანა ნიკლაური. ანა ქვემო ქედისაა, მივინყებულის, კუთხური ტრადიციების აღდგენა-გადარჩენაზე ფიქრობს და ფარდაგებს, გობელენს, ხევსურულ ნაქარგებს, ბისერებს აწარმოებს. ბრენდი 2019 წელს შექმნა, თუმცა ხელსაქმით პირველად, საკმაოდ პატარა ასაკში დაინტერესდა, როცა ხედავდა როგორ ქსოვდა დედა ტანსაცმელს მისთვის და მისი და-ძმისთვის.



„5-6 წელია, რაც ჩემი ნამუშევრების გაყიდვა დავიწყე. ისე ბავშვობიდან ვამზადებ სამაჯურებს, ბისერებს. სიმართლე გითხრათ, აღარც კი მახსოვს, ეს საქმე როდის დავიწყე, ალბათ 4-5 წლის ასაკიდან. როცა დედა ქსოვდა, ვცდილობდი მის გვერდით ვყოფილიყავი, დავკვირებოდი, პირველი მცდელობებიც მაშინ მქონდა. მოგვიანებით, როცა შევიტყვე, ჩემი გარდაცვლილი ბებო ხალიჩებსა და ფარდაგებს ქსოვდა, მომიინდა უკეთ შემესწავლა ეს მიმართულება, ძველი ქართული ორნამენტები. ძალიან დამაინტერესა ძაფის ბუნებრივი საღებავებით შეღებვის პროცესიც“ - ამბობს ანა.

ის მივინყებულის ორნამენტების მოძიება-აღდგენას სხვადასხვა წყაროებიდან ცდილობს, მათ შორის, ყველაზე ეფექტური ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასაკოვან ქალბატონებთან კომუნიკაციაა. ერთეულები შემორჩენენ, ვინც ამ მრეწველობას იცნობენ და უნდა, მათგან მაქსიმალურად ბევრი ისწავლოს. პროფესიით ტურიზმის სპეციალისტი თავს ყვე-


ლაზე კომფორტულად სწორედ მაშინ გრძნობს, როცა უცხოელ სტუმრებს ქართული ტრადიციების შესახებ უყვება და ადგილობრივ ნაწარმს აცნობს. ამიტომ, განსაკუთრებით უყვარს და შესაძლებლობას არასდროს უშვებს ხელიდან, გამოფენა-გაყიდვებზე, ფესტივალებზე მიიღოს მონაწილეობა.

**-ანა, ტურიზმის ხაზით მიღებული განათლება რამდენად გეხმარება, პროდუქციით მეტად დაინტერესო ტურისტები?**

-მე ქვემო ქედში ვცხოვრობ და სოფელი ტურისტების სიმრავლით ვერ დაიკვეხნის. თუმცა, ჩემს ახლობლებს ნამუშევრები მიაქვთ ყაზბეგში და სხვა ტურისტულად აქტიურ რეგიონებში, სადაც რეალიზება ხდება. შეკვეთებს რაც შეეხება, მოთხოვნა არის ქუდებზე, სამაჯურებზე, ფილტებზე და ასევე ცხენის ყაჯარზე, რომელსაც დოლის დროს იყენებენ.

**-ფარდაგებს თუ ქსოვთ?**

-ფარდაგების ორნამენტებს დიდ ყურადღებას ვაქცევ, მაგრამ დიდი ზომის ფარდაგებზე მოთხოვნა ნაკლებადაა. მოთხოვნა, ძირითადად, პატარა ზომის ფარდაგებზეა და მეც იმას ვანარმოებ, რასაც ბაზარი ითხოვს. ბავშვობიდან მიყვარს ქარგვა და ახალ-ახალი ორნამენტების გამოყვანა. ქარგვა ჩემთვის ნამალია, საუკეთესო რელაქსი. ერთი დღეც არ გასულა, ერთი ორნამენტი მაინც არ მომექარგოს. ნამუშევრების დასრულებას არასდროს ვჩქარობ, მთავარია, პროცესით დავტკბე, ხარისხი შევინარჩუნო.



**-ანა, ახლახან დამზალ ხაჭოს წარმოებაც დაიწყეთ...**

-ეს ჩვენი ოჯახური ბიზნესია. მე და ჩემი მეუღლე ვანარმოებთ და ვგვგმავთ, რომ კიდევ უფრო გავაფართოვოთ წარმოება. დაინტერესება ამ დელიკატესით ნამდვილად დიდია.

ახალგაზრდა მენარმეს მეუღლე და ორი შვილი ჰყავს. მან ქალაქში ცხოვრებას მშობლიურ სოფელში დაბრუნება არჩია და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება აქ სცადა. ანა ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ადამიანებს შორის, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებაში.

**გაზაქი „შირაში“ წარმატებას უსურვებს ანას და იმედოვნებს, რომ მისი მცირე ბიზნესი კიდევ უფრო გააღვივდება.**

ინგა შიოლაშვილი

# სკოლის დირექტორების კონკურსი მიმდინარეობს

სკოლის დირექტორების შესარჩევად კონკურსის ახალი ეტაპი დაიწყო. 10 მარტს რეგიონულ საგამოცდო ცენტრებში რეგისტრირებული კანდიდატებისთვის ტესტირება გაიმართა. წინა წლებისგან განსხვავებით კონკურსში მონაწილეთა ვინაობა საჯარო არ არის, თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოაქვეყნა სია, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლებში 33 კანდიდატიმ დარეგისტრირებული.

თითო აპლიკანტს სამი სკოლის არჩევის შესაძლებლობა აქვს. ამჯერად გამართული ტესტირების შედეგები საჯარო არ არის. თუმცა, ტესტირების წარმატებით გადალახვისა და სათანადო ქულების მოგროვების შემდეგ კანდიდატებს გასაუბრების ეტაპი ელით, სწორედ მას შემდეგ გაირკვევა, რამდენმა კანდიდატმა მოიპოვა სერტიფიკატი. არც ამ ეტაპების წარმატებით გადალახვა ნიშნავს იმას, რომ სამინისტრო კანდიდატს აუცილებლად წარუდგენს სკოლას ასარჩევად.

**სკოლების მიხედვით რეგისტრირებული კანდიდატების რაოდენობა:**

- 1) სოფელ სამრეკლოს სკოლა - 6
- 2) სოფელ გამარჯვების სკოლა - 6
- 3) სოფელ ზემო ქედის №1 სკოლა - 4
- 4) სოფელ არგოშიძის სკოლა - 4
- 5) სოფელ ფიროსმანის სკოლა - 4

- 6) სოფელ ძეგომ ქედის სკოლა - 4
- 7) სოფელ სამთაწყაროს სკოლა - 3
- 8) სოფელ საბათლოს სკოლა - 2

ახალი კანდიდატები რვა საჯარო სკოლაში ცდიან ბედს, თუმცა მათგან რამდენმა გადალახა ტესტირება, შედეგები საჯარო არ არის. დედოფლისწყაროს რვა სკოლაში კი გასული წლის 13-16-17 ოქტომბერს დირექტორების არჩევნები უკვე შედგა. ერთ სკოლაში სამეურვეო საბჭომ სამინისტროს მიერ წარდგენილი კანდიდატი ჩააგდო და მხარი არ დაუჭირა, დანარჩენ 7 სკოლას კი ახალი ვადით უკვე ჰყავს ახლადარჩეული დირექტორები. ცნობისთვის, ის პირები, რომლებიც ფლობენ საჯარო სკოლის დირექტორობის უფლების მოპოვების და-



მადასტურებელ მოქმედ სერტიფიკატს, კონკურსს შეუერთდებიან გასაუბრების ეტაპიდან. საჯარო სკოლის დირექტორების შესარჩევის კონკურსის ტესტირების საგამოცდო პროგრამა ითვალისწინებს საკანონმდებლო ბაზასა და პროფესიულ უნარებს. ტესტირების წარმატებით გავლისათვის დირექტორობის კანდიდატმა უნდა გადალახოს ტესტირებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც შეადგენს ტესტის მაქსიმალურ ქულათა 60%-ს (48 ქულა).

იმ კანდიდატების გარდა, რომლებიც ახლა ცდილობენ დირექტორობის უფლების მოპოვებას, კონკურსში ჩაერთვებიან ისინიც, რომლებმაც გასულ წელს წარმატებით გაიარეს კონკურსის ყველა ეტაპი, მაგრამ სამინისტროს არცერთ სკოლაში არ წარუდგენია. ასე რომ, დედოფლისწყაროში სერტიფიცირებული რამდენიმე კანდიდატი უკვე არსებობს. გასულ წელს დირექტორთა არჩევნები დედოფლისწყაროში ისე ჩატარდა, რომ საკმარისი კანდიდატები არ იყო, თუმცა ამის მიუხედავად, სამინისტრომ ყველა კანდიდატი მაინც არ წარადგინა. ასე იყო მაგალითად სამრეკლოსა და არგოშიძის სკოლებში, სადაც იყვნენ სერტიფიცირებული კანდიდატები, მაგრამ სამინისტრომ ისინი არჩევნებზე არ წარადგინა.

ილია მარტყოფლიშვილი

## ინფლუენსინგი, როგორც მომავლის პროფესია

დღევანდელ თანამედროვე სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა „გავლენაა“. ბოლო დროს, ორგანიზაციები და ბრენდები ადამიანებზე გავლენის მოსახდენად ნაკლებად იყენებენ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) ტრადიციულ საშუალებებსა და მეთოდებს. ცვლილებები კომუნიკაციაში მსოფლიო მასშტაბით განაპირობა ციფრული სამყაროს, სოციალური ქსელების, ახალი მედიის შექმნამ და განვითარებამ. შეიცვალა საზოგადოების, მასთან ერთად - კომუნიკაციის ფორმები და საშუალებები, შესაბამისად, შეიცვალა ადამიანები, მათი შეხედულებები, განწყობები და, რაც ყველაზე მთავარია, მათი ნდობის ხარისხი.

ახალ სამყაროში ძველი მეთოდებით ბრენდები ვეღარ იღებენ სასურველ შედეგს, სწორედ ამიტომ, ბრენდებისთვის, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სპეციალისტებისთვის მნიშვნელოვანი გახდა „სოციალური ვალუტა“, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული გავლენიანი ადამიანების - ინფლუენსერების (influencers) მუშაობასთან.

პროდუქტის ან ბრენდის რეკომენდაციის განევა, მასზე საუბარი და ლოიალური მომხმარებლების გამოხმაურებების გაზიარება არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი და შედეგიანი, როგორც არის დღეს. ბრენდები გაყიდვების სტიმულირებისთვის, იმიჯისა და რეპუტაციის შექმნისთვის სოლიდურ თანხებს, დიდ დროსა და ენერჯიას ხარჯავენ და სულ ეძებენ ნაკლებდანახარჯიან გზებს მიიტანონ მომხმარებლებამდე თავიანთი პროდუქტი ან მომსახურება, შეიქმნან ცნობადობა და დადებითი რეპუტაცია.

ციფრულ სამყაროში ახალმა მედიამ და სოციალურმა ქსელებმა დაამკვიდრა და აქტუალური გახდა სიტყვა ინფლუენსინგი (გავლენის მოხდენა). ინფლუენსინგს სპეციალისტები ახასიათებენ, როგორც საკომუნიკაციო შესაძლებლობას, რომლის მიზანია გავლენიანი ადამიანების ძალისხმევით მოახდინონ ნედრობა და ორმხრივი კავშირების შექმნა თავიანთ მიზნობრივ ჯგუფებთან, შეიქმნან ცნობადობა და გაყიდვების სტიმულირება მოახდინონ.

დღესდღეობით, ყველას შეუძლია გახდეს ინფლუენსერი, ბლოგერი, ვლოგერი. განსხვავებულობა, ინდივიდუალიზმი და საკუთარი თავის წარმოჩენა ძალიან პოპულარული და ხშირ შემთხვევაში, ონლაინ საზოგადოებაში მისაღები გახდა, რაც ძირითადად სო-

ციალური ქსელების მეშვეობით ხდება. ინფლუენსერების ძირითადი გამოწვევა არის: დამატებითი ღირებულების შექმნა კარიერისთვის, ცნობადობისა და იმიჯის შექმნა, რომელიც გენერირდება შემოსავლებში ან უბრალოდ გართობასა და ჰობში.

**სასაზოგადოებრივი ინტერესები:**  
 • კონტენტის რეგულაცია: ბლოგერები, ვლოგერები, ექსპერტები და ა.შ.  
 • ლაიფსტაილები: სელფისტი, ანტიპრანერა, მოდელი, ბიზნესმენები, პოლიტიკოსები და ა.შ.

ლაიფსტაილები არიან ის ადამიანები, რომლებიც სოციალური ქსელების გარეშე წარმატებულნი და ცნობილები არიან, ისინი გავლენას ახდენენ ადამიანების გარკვეულ ჯგუფებზე, მათ გავლენა ოფლაინში მოიპოვებს და შემდეგ გადმოიტანს თავიანთი იმიჯი და სანდოობა ონლაინში.

კონტენტრეაქტორები არიან ის ინფლუენსერები, რომლებიც სოციალური ქსელების დახმარებით გახდნენ პოპულარული, ისინი ქმნიან სპეციალურ იმიჯებსა და ტექსტებს (კონტენტს) ცხოვრების სტილისა თუ სხვადასხვა მიმართულებების საჩვენებლად, ისინი, როგორც ლაიფსტაილები, სელფისტი-თების მსგავსად ადამიანებისთვის (გამომწვევებისთვის) როლური მოდელები არიან.


ინფლუენსერების მთავარი ღირებულება მათი შედეგია, დღეს კომუნიკაცია გახდა ყველაზე თვალის მიწის ისტორიის მანძილზე. ცნობადობის შექმნა, აუდიტორიის სწორად შერჩევა, მათი გააქტიურება და მაღალი ჩართულობის გამოწვევა ინფლუენსერების

ძირითადი დავალებაა.

რეიტინგული გამოცემა „ფორბსის“ გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ინტერნეტ მომხმარებლების 47 % ბლოკავს ინტერნეტ რეკლამას, რაც რეკლამის ნაკლებეფექტურობასა და დანახარჯების გაძვირებას იწვევს, ასევე ბოლო დროს საგრძნობლად გაზრდილია ინფლუენსერებზე დანახარჯები მარკეტინგულ ბიუჯეტებში, ხოლო ონლაინ მომხმარებლების 8% ინფლუენსერებისგან ავთენტურობას (ნამდვილობას) და ნდობას ითხოვს, სწორედ ამიტომ გახდა მნიშვნელოვანი ინფლუენსინგი, სადაც მუშაობს „მესამე პირის ეფექტი“ — როდესაც ერთი შეხედვით დაუინტერესებელი მხარე რეკომენდაციას უწევს პროდუქტს ან მომსახურებას.

**და გაინტერესდეთ ინფლუენსერების კომუნიკაციის საბაზისითა და რეიტინგით**

- რეიტინგი — ინფლუენსერებს ჰყავთ დიდი რაოდენობის მიმდევრები/გამომწვერები;
- გავლენა - ისინი გავლენიანები და სანდოები არიან თავიანთი გამოწვევებისა და მიმდევრების წრეში;
- კომპეტენტურობა - მარტივად და სწრაფად ერკვევიან ბრენდის არსში და არიან კომპეტენტურები;
- ვიზუალი და კონტენტი - მათ შეუძლიათ ტენდენციური, განსხვავებული და საინტერესო ვიზუალური და ტექსტუალური მასალის შექმნა და აუდიტორიის დაინტერესება;
- პერსონალურობა - პერსონალური გამოცდილება უფრო აინტერესებს სოციალური ქსელების მომხმარებლებს, ვიდრე ბრენდების გამოქვეყნებული შეთავაზებები.



• სწრაფი შედეგი - ინფლუენსერების სიტყვა „ვირუსს“ ჰგავს - ძალიან სწრაფად ვრცელდება, რადგან ინტერნეტში იდეის გავრცელება და მასზე რეაგირება სწრაფად ხდება.

• თვალის შედეგი და სტატისტიკა - მარტივად შეიძლება ინფლუენსერების მუშაობის გაზომვა და შედეგების დემონსტრირება, რაც სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების დროს მეტ დროს, რესურსს, დანახარჯებს მოიცავს.

• ხარჯთეფექტურობა - ინფლუენსერების სამუშაო „იაფი“ არ ღირს, თუმცა ბრენდის გადახდითი თანხა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მიღებულ შედეგთან, კარგი ინფლუენსინგის შედეგი მაშინ არის მისაღები, როდესაც მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღება შესაძლებელია.

ხშირად გავლენა უარყოფითიც შეიძლება აღმოჩნდეს, მაგალითად მაშინ, თუ ის თალღითობისთვის ან ბოროტი მიზნებისთვის იარაღი ხდება. ამას თანამედროვე სამყაროში მანიპულაციას უწოდებენ. ეს ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები ფსიქოლოგიურ ტაქტიკას საკუთარი სარგებლობისთვის, ხშირად სხვის ხარჯზე იყენებენ. ამის საპირისპიროდ, სასიკეთო გავლენა არის შესაძლებლობა ურთიერთსასარგებლო შედეგების მისაღწევად. ეთიკურად და სწორად გამოყენების შემთხვევაში, გავლენა არის კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ადამიანებს გაუადვილებს იმის გაგებას, რასაც თქვენ უზიარებთ.

პროდუქტის ან ბრენდის რეკომენდაციის განევა, მასზე საუბარი და ლოიალური მომხმარებლების გამოხმაურებების გაზიარება არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი და შედეგიანი, როგორც დღეს არის. ბრენდები გაყიდვების სტიმულირებისთვის, იმიჯისა და რეპუტაციის შექმნისთვის სოლიდურ თანხებს, დიდ დროსა და ენერჯიას ხარჯავენ და სულ ეძებენ ნაკლებდანახარჯიან გზებს, რათა მიიტანონ მომხმარებლებამდე თავიანთი პროდუქტი ან მომსახურება, შეიქმნან ცნობადობა და დადებითი რეპუტაცია.

**და გოლოს, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი დაფუძნებული - ელვარდ ბარნაისი ამაზობდა:** „რატომ უნდა მოვახდინო გავლენა მილიონობით ადამიანზე, თუ შემიძლია ერთი ადამიანი მოვახარხო იმიჯი“.

მომზადდა შუშუნა ყანაშვილი





# „ნეოლაბი“ — გიწვევთ!

**კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალი უბიძლიანთ განიარკოთ კონსულტაციები თბილისიდან მოწვეულ სპეციალისტებთან.**

პედიატრის, კარდიოლოგის, ინფექციონისტი, ექოსკოპისტი, გინეკოლოგის და გასტროენტეროლოგის ვიზიტები კლინიკა „ნეოლაბში“ ყოველთვიურად ხორციელდება.

**29 მარტს კონსულტაციას გამართავენ კარდიოლოგი და პედიატრი**

**30 მარტს გინეკოლოგი, გასტროენტეროლოგი და ექოსკოპისტი**  
კონსულტაცია ფასიანია

ჩანერისთვის უნდა დაგვიკავშირდეთ კლინიკის ნომერზე:  
**0 (356) 20 00 85 ან 596 39 20 00.**

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალი მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. №57.

**კარდიოლოგის კონსულტაცია**  
**გულის ულტრაბგერითი გამოკვლევა**  
**ელექტროკარდიოგრაფია**

სააქციო ფასი  
**80ლ**

**თამარ შალალოშვილი**  
გასტროენტეროლოგი

**სოფო ბალაშვილი**  
ექიმი - ხაილოგი

**დავით სხირიძე**  
გინეკოლოგი

**ნა გოგობაშვილი**  
პედიატრი

**ბადრი ჯამბაშიძე**  
კარდიოლოგი

## გააცოცხლე ისტორია ექსპონატით

### სად აღმოაჩინეს ჯვარი და ზარი?

კომუნისტური რეჟიმი ხალხის რწმენის წინააღმდეგი იყო. მათი დამკვაშები ნგრევისა და შებლაღვის გარდა ძარცვავდნენ ეკლესიებს. ყველა ჯვარი, ზარი, ჩუქურთმა თუ ხატი მათი მზაკვრული ხელით იქნა გატანილი უფლის სამკვიდროდან. ტერორისა და დევნის მიუხედავად მართლმორწმუნე ადამიანებმა დიდი რისკის ფასად გადაარჩინეს მრავალი სინამდვილის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ რამდენიმე წლის წინ, დედოფლისწყაროში მცხოვრებმა ნატროშვილებმა ოჯახმა სახლის შენობის საძირკველში

აღმოაჩინეს ორი რკინის ჯვარი. ცნობილია, რომ ამ სახლის მახლობლად მდებარეობდა „პეტრე-პავლეს“ სახელობის ეკლესია, რომელიც შემდეგ სახელოვნებო სკოლად გადააკეთეს. დიდი ალბათობით

ჯვარები ამ ეკლესიის შესასვლელთან უნდა ყოფილიყო აღმართული. აღნიშნული ეკლესია მე-XIX-ე საუკუნეში აქ განლაგებულ დრავუნთა პოლკისა და მოსახლეობის შემნობით აუშენებიათ. დედოფლის-

ყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შემონირულ ნივთებს შორის დღესაც არის ეკლესიის სამრეკლოდან ჩამოგდებული ორი ზარი. ამ ეჭვს ადასტურებს მათზე გაჩენილი ბზარები. ერთ-ერთი მათგანის წარმომავლობა სამწუხაროდ დღემდე დაუდგენელია, ხოლო მეორეზე იკითხება წარწერა: ქ. „შამნირეთ ერთობლივ ბოდბელებმა ბოდბის სვეტიცხოვლის ეკლესიას ზურაბლის მემცხვავებმა ჩვენს სულის მოსახსენებლად ჩვენ - 1953 წ.“. დღეს ქვემო ბოდბეში მდებარე ეს ტაძარი აღდგენილია და წირვალოცვა აღევლინება. ასეთი სასოებით მალავდა მართლმორწმუნე ერი თავისი სარწმუნეობის მრგვლიტებს, იმ იმედით, რომ მომავლის სინათლეში ახალი თაობა აღმოაჩენდა მათ.



**ლალი ბასილაშვილი**  
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მკვლევარი

**ულოცავთ!**  
**ვიოლა რობიჯაშვილს!**

ძვირფასო ვიოლა! ჩვენი კლასის სიამაყეს, პირველი კლასიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით ფრიადოსან და სამაგალითო მოსწავლეს, გილოცავთ დაბადების დღეს, 14 მარტს. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული, უნიკალურად განსაკუთრებული ხარით და ეს მკვეთრი ინდივიდუალიზმი ბრწყინავს მთელ თქვენს შემოქმედებაში - მხატვრობაში.

არასოდეს დაგავიწყდება თქვენს ოჯახში გატარებული საახალწლო და სადღესასწაულო შეხვედრები, რისთვისაც დიდი მადლობა თქვენ.

**საუკეთესო სურვილებით და დიდი სიყვარულით თანაკლასელები:** ნანა შიშინაძე, ეთერ ჯანიაშვილი, ლია ბროძე, თამარიკო მხარიშვილი, აკაკი სამსუაშვილი, ნათელა ხუციშვილი, ცინიო ბაცაცაშვილი და სხვები.

**პროექტი-ტყევის მრავალფეროვნება ზემო ქედში**

ზემო ქედის N2 საჯარო სკოლის III კლასში ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა თამარ ნებიერიძემ და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ეკატერინე ჩიტაურმა განახორციელეს პროექტი - „ტყევის მრავალფეროვნება“.

მოსწავლეებმა სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში მათთვის ნაცნობი ხეებიდან ტყის მოდელი შექმნეს. შერჩეული ტიპის ტყე: ფოთლოვანი, წიწვოვანი და შერეული. თემის შესაბამისად ბინადარი ცხოველები, ფრინველები, მცენარეები, მწერები და ბუნებისა და ცხოველების აუდიო გახმოვანების მასწავლებელს შესთავაზეს ვირტუალურად ემოჯიზმით ტყეში და შექმნილი შთაბეჭდილებებით გაეხმოვანებინათ თავისივე შექმნილი ტყეები.

პროექტი საკმაოდ სახალისოდ და ემოციურად წარიმართა. მოსწავლეები საკუთარი ცოდნის დემონსტრირებით კმაყოფილი იყვნენ. შექმნილი ნამუშევრები გაუზიარეს მასწავლებლებს და თანაკლასელებს.

**მარიამ თანდლაშვილი III კლ**

ამინდი		დედოფლისწყარო		პარასკევი		შაბათი		კვირა	
ორშაბათი 18.03	სამშაბათი 19.03	ორშაბათი 20.03	სუთშაბათი 21.03	პარასკევი 22.03	შაბათი 23.03	კვირა 24.03			
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
12°	4°	7°	3°	9°	2°	8°	1°	10°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი“  
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**  
რედაქტორი **ილია მარჯყოფილი**

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჟანაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტი);  
ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი);  
ნიანი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ძინაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.  
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:  
ქალაქი დედოფლისწყარო,  
ფიროსმანის №18,  
☎ 0 356 22 22-85;  
598 72-18-72 (დირექტორი)  
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია  
დედოფლისწყაროს რაიონის  
სასამართლოს მიერ,  
№ 6 014-468.  
**გაზეთის გამომწერა**  
**წელიწადში - 20 ლარი**